

<p>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 20</p>	<p>The Contract on State Procurement № 20</p>
<p>ქ. თბილისი <u>15th</u> მარტი, 2017 წ.</p>	<p>Tbilisi <u>15th</u> March, 2017.</p>
<p>ერთის მხრივ, შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, (შემდგომში: “შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, თორნიკე ყაზარაშვილის სახით,</p>	<p>On the one hand Qartli Wind Farm LLC (hereinafter the Purchaser), represented by its Chairman of the Board of Directors Mr. Tornike Kazarashvili,</p>
<p>და მეორეს მხრივ, „ბარლოვენტო რეკურსოს ნატურალეს“ S.L. რომლის მისამართიცაა კალე პინტორ სოროლა ქ. N8-1 A, 26007 ლოგრონო, ლა რიოხა, ესპანეთი, ორგანიზაციის N ESB26264366 წარმოდგენილი მისი მმართველი დირექტორის, რაფაელ ზუბიურ რუისის სახით, (შემდგომში: მიმწოდებელი)</p>	<p>And on the other hand, Barlovento Recursos Naturales, S.L., having its address at Calle Pintor Sorolla, 8-1º A, 26007 Logroño, La Rioja, Spain, organization number ESB26264366 represented by Managing Director Rafael Zubiaur Ruiz (hereinafter the Supplier)</p>
<p>ცალ-ცალკე მოხსენიებული როგორც “მხარე” და ერთად მოხსენიებული როგორც “მხარეები”</p>	<p>separately referred to as “party” and jointly referred to as “parties”,</p>
<p>მხარეები ვმოქმედებთ რა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2016 წლის 07 ნოემბრის #3087 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის N2474 განკარგულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:</p>	<p>Parties acting under the decree #3087 of the Chairman of LEPL “State Procurement Agency” dated November 07, 2016, the resolution N2474 of Government of Georgia, dated November 29, 2016 and in accordance with the Laws of Georgia, hereby conclude the present Service Agreement and agree on the following:</p>
<p>1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები და ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები</p>	<p>1. Definitions of terms and the integral parts of the contract</p>
<p>1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p>	<p>1.1. The terms used in the contract have the following meanings:</p>
<p>1.1.1. “ხელშეკრულება” ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულებას, მისი ყველა დანართის და ცვლილებისა ან/და დამატებების ჩათვლით.</p>	<p>1.1.1. The contract means the present contract with all appendixes and amendments/modifications thereof;</p>

TK 

<p>1.1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების, ვინაიდან მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტს არ წარმოადგენს, საქართველოში დაწესებული არარეზიდენტის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლიდან საშემოსავლოს და დღგ-ს გადახდა ხდება შემსყიდველის მიერ.</p>	<p>1.1.2. The contract price means the maximum amount determined on the basis of the contract, article 7, (excluding all taxes and duties), payable by the Purchaser to the Supplier for performance of the contracted activities by the Supplier; As the Supplier is a non-Georgian entity, value added tax (VAT) and profit tax for non-residents to be paid in Georgia will be paid by the Purchaser.</p>
<p>1.1.3 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.</p>	<p>1.1.3 “day“, “week“, “month“ means calendar day, week, month.</p>
<p>1.1.4 “მომსახურება“ ან “სამუშაო(ები)“ ნიშნავს ამ ხელშეკრულების დანართ 1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული სამუშაო, რომელიც მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ამხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და მოცულობით.</p>	<p>1.1.4 “service“ or “work(s)“ mean works envisaged in Appendix 1 of the contract (Terms of Reference) which should be performed by the Supplier consistent with the procedure and scope envisaged in the present contract;</p>
<p>1.1.5 „ნაკლი“ ნიშნავს ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (მათ შორის, ამ სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებზე დაბალი ხარისხით ან ტექნიკური დავალების შეუსაბამოდ) სამუშაო(ები)ს ან სამუშაო(ები)ს ნაწილის შესრულებას.</p>	<p>1.1.5 “defect” means performance of the work or its part in violation of the contract terms (among them work of lower quality than the standards in the industry and not according to the scope).</p>
<p>1.1.6 მოცემული ტერიტორია - დანართი N 1-ით განსაზღვრული ტერიტორია</p>	<p>1.1.6 Proposed Site – territory preliminarily defined by Annex 1.</p>
<p>2 ხელშეკრულების საგანი</p>	<p>2. Subject of the Contract</p>
<p>2.1. მიმწოდებელი ვისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულების დანართი N1 და დანართი N2-ით გათვალისწინებული მომსახურება.</p> <p>2.2. დანართი N1-სა (ტექნიკური დავალება) და დანართი N2 (ტექნიკურ-</p>	<p>2.1 The Supplier takes the obligation to perform the Services in accordance with the present Contract and Appendix 1 and 2.</p> <p>2.2 In the event of contradiction between Appendix 1 (Terms of Reference) and</p>

TR 


<p>ეკონომიკური შეთავაზება) შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დანართ N1-ს (ტექნიკური დავალება).</p>	<p>Appendix 2 (Technical-Economix Offer), Appendix 1 shall prevail.</p>
<p>3 მომსახურების გაწევის პირობები და სტანდარტები</p>	<p>3. Terms and Standards of the Service Performance</p>
<p>3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს მიმწოდებელი შეასრულებს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის და დანართი 2-ის შესაბამისად.</p>	<p>3.1. The works envisaged by the contract will be performed by the Supplier consistent with Article 2 of this contract and Appendix 2.</p>
<p>3.2. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში და მის დანართებში მითითებულ და საქართველოში გამოსაყენებლად დაშვებულ ეროვნულ და/ან საერთაშორისო სტანდარტებს, ნორმებსა და მოთხოვნებს.</p>	<p>3.2. The works performed by the Supplier should correspond with national standards used in Georgia and/or International standards, norms and requirements indicated in Article 2 and in the Appendixes of this contract.</p>
<p>3.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს არ ექნება რაიმე ნაკლი (ეს მათ შორის გულისხმობს, რომ სამუშაო იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო), წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იქნება საკუთარი ხარჯით გამოასწოროს შესრულების ნაკლი.</p>	<p>3.3. The Supplier warrants that the work performed by it will not have any defect (this means that the works will be without defect from material and legal point of view) otherwise the Supplier will bear responsibility to improve the defect at its own expense.</p>
<p>3.4. მიმწოდებლის მიერ ნაკლის გამოსწორებასთან დაკავშირებული მისი ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გაწეული ხარჯების თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების ღირებულებიდან. ასეთი გამოქვითვა ხელშეკრულების 8.5 მუხლით არის განსაზღვრული.</p>	<p>3.4. In case of failure to perform the improvement of defect within the agreed time by the Supplier, the Purchaser has the right to undertake the measures to improve the defect and ask the Supplier to compensate the cost of damage by deducting the amount of rendered expenses from the contract cost. Such deduction is thus limited as described in Article 8.5.</p>
<p>3.5 აღჭურვილობები და გამზომველი ანძების საქართველოში შემოტანა/გატანა უნდა</p>	<p>3.5 Equipment and met mast are sent in temporal regimen, so all requirements and</p>

TK 


<p>განხორციელდეს დროებით და აღნიშნული პროცედურების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს შემსყიდველმა. ზემოაღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, შემოტანის უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცა და გაწიოს ხარჯი საკუთარი სახსრებით. აღჭურვილობების და გამზომველი ანძების შემოტანა ხორციელდება CIP ინკოტერმის შესაბამისად და მის ფარგლებში გაწეული ხარჯი უნდა აანაზღაუროს შემსყიდველმა. მიმწოდებელმა, შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე არ უნდა გაიტანოს ტვირთი საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს შემსყიდველს აუცილებელი დახმარება საქართველოს საბაჟო პროცედურების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით. გამზომველი ანძა და აღჭურვილობები საქართველოდან გატანილ უნდა იქნა მომსახურების დასრულებიდან 6 (ექვსი) კვირის განმავლობაში.</p>	<p>formalities to introduce them in Georgia and to take out from the country are in charge of the Purchaser. Any delay or cost due to the necessary documents that purchaser has to supply to execute the importation will be Purchaser responsibility. Equipment and met mast is under CIP conditions, so any cost out of this INCOTERM has to be paid by the Purchaser. The Supplier shall not take our or send the met mast and equipment without prior consent of the Purchaser. In addition, the Supplier shall provide the assistance to the Purchaser, necessary for passing the customs without impediment in Georgia. Met mast and equipment should be taken out from Georgia no later than 6 (six) weeks from the date when services finish.</p>
<p>4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</p>	<p>4. Control over Performance of the Contract</p>
<p>4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი (ინსპექტირება).</p>	<p>4.1. The Purchaser or its representative is entitled to exercise control at any stage of contract performance by the Supplier including periodic inspection of quality of the service.</p>
<p>4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საფასურის გადახდის სანაცვლოდ უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარების დახმარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, რომლებიც აუცილებელი იქნება სრულყოფილი კონტროლის (ინსპექტირების)</p>	<p>4.2. The Supplier must provide the Purchaser with the personnel for assistance in conducting inspections, also provide technical means and other work conditions, necessary for performing thorough inspection at cost. In this respect, assistance shall be interpreted as the mean of submitting and providing clarifications for the documents prepared by the Supplier. In case that the above support and</p>

TK 

<p>განსახორციელებლად. ამ მხრივ, დახმარება გაგებულ უნდა იქნეს როგორც მიმწოდებლის მიერ მომზადებული დოკუმენტების ახსნა-განმარტების მიცემა. იმ შემთხვევაში თუ შემოადინებული დახმარება მოიცავს დამატებით ხარჯებს როგორც არის მგზავრობა ან/და ტერიტორიის ტესტირება, უნდა აანაზღაუროს შემსყიდველმა.</p>	<p>assistance requires additional travels to the testing site and/or Purchaser facilities, these travels will be charged additional.</p>
<p>4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.</p>	<p>4.3. The Supplier must at its own expenses, ensure improvement of all defects identified as a result of inspection.</p>
<p>5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</p>	<p>5. Acceptance of the purchase object</p>
<p>5.1. სამუშაოები ჩაითვლება შესრულებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.</p>	<p>5.1. The works will be considered accomplished after the acceptance certificate is drawn up.</p>
<p>5.2. მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი შემსყიდველს სრულად წარუდგენს სამუშაოებს, შემსყიდველი ვალდებულია 2 (ორი) კვირის ვადაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს წარმოდგენილი სამუშაოების ჯეროვნად შესრულების შესახებ, რის საფუძველზეც მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში - შესაბამისი აქტი ნაკლის არსებობის შესახებ. ნემისმიერ შემთხვევაში, მომსახურების ფარგლები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით და შემსყიდველი არ მოითხოვს დამატებით რაიმე მომსახურების შესრულებას რომელიც ცდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებს. მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლის აღმოჩენის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში აღმოფხვრას ნაკლი და სამუშაოები წარუდგინოს შემსყიდველს. ასეთი სამუშაოების შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების მიმართ გამოიყენება ამ მუხლის პირველი და მეორე წინადადებებით განსაზღვრული წესები</p>	<p>5.2. After the Supplier submits the works in full to the Purchaser, the latter, within 2 (two) weeks is obliged to inform the Supplier in writing on performance of presented works, on the basis of which the acceptance certificate should be signed between the Supplier and the Purchaser, in case of detecting a defect the corresponding certificate should be signed. In any case, the scope of the services and works is ruled by the scope described under this contract and its Annexes, and the Purchaser will not require additional services which will be out of the scope of the works to be performed under this contract. The Supplier must within 30 days after receiving the notice on defect eradicate such defects and re-submit works to the Purchaser. For such inspections and acceptance of re-submitted works, the rules determined in the initial and second sentence of this Article shall apply, provided that, in case of detecting defect in re-submitted works, the Purchaser is entitled to terminate the contract and can as a penalty subtract 0.1% of the relevant amount according to Article 7 from the</p>

TK 

<p>იმ პირობით, რომ სამუშაოებში განმეორებით ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მე-7 მუხლის შესაბამისი თანხის 0.1%.</p>	<p>payment to the Supplier.</p>
<p>5.3. შემსყიდველის მიზეზით, სამუშაოების შესრულებულად ცნობისათვის ამ ხელშეკრულების 5.2 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოები ჩაითვლება მიღებულად და მხარეები ვალდებული იქნებიან გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი.</p>	<p>5.3. For the reason of the Purchaser, for considering the works performed, in case of violation of terms set forth in Article 5.2. of the contract, works submitted by the Supplier will be considered as accepted and the parties will be committed to sign the acceptance certificate.</p>
<p style="text-align: center;">6 ანგარიშსწორება</p>	<p style="text-align: center;">6. Settlement (Payment)</p>
<p>6.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების და მისი დანართების მიხედვით. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნას 30 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შესრულება შემდეგი 2 პირობა: (ა) მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებულ სამუშაოებზე და (ბ) მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ინვოისს შესრულებულ სამუშაოებზე. მიმწოდებელი გამოწერს ინვოისს შესრულებულ სამუშაოებზე, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ში მითითებული მე-5 თავის შესაბამისად.</p>	<p>6.1 The Purchaser is obliged to pay to the Supplier the price of the works in accordance with stipulation of the provisions of the contract and its appendixes. This amount should be paid within 30 days after the following 2 conditions are met: 1. Acceptance certificate on the works performed is executed and 2. the Supplier submits the invoice for relevant works to the Purchaser; The services will be invoiced based on the schedule in chapter 5 of the Appendix 2 (Technical-Economic offer).</p>
<p>6.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ევროში.</p>	<p>6.2. The settlement between the parties shall be provided in EURO.</p>
<p>6.3. შემსყიდველის მიერ თანხის გადახდა არ ჩაითვლება გაწეული სამუშაოების დადებითად შეფასებად და ამ სამუშაოების მიღება-ჩაბარებად.</p>	<p>6.3. Payment by the Purchaser shall not be considered as the positive evaluation of the rendered works and as acceptance of such works.</p>
<p style="text-align: center;">7 ხელშეკრულების ღირებულება</p>	<p style="text-align: center;">7. Price of the Contract</p>
<p>7.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 166 506 (ასსამოცდაექვსი ათას ხუთას ექვსი) ევრო. (დღგ-ს და არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის გარეშე).</p>	<p>7.1. Price of the Contract is - 166 506 (One Hundred Sixtysix Thousand Five Hundred Six) EUR (excluding VAT and profit tax of non-residents). The Purchaser may request the</p>

T/R 

<p>შემსყიდველის მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას კალიბრაციის პროცედურის გაგრძელება რაზეც მხარეთა შორის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ყოველ დამატებით თვეზე წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N3-ის შესაბამისად.</p>	<p>extention of Calibration Campaign for a specific period of time pursuant to the necessity and such services shall be charged per month additionally with respect to Appendix 3 of this Agreement.</p>
<p>7.2 ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ევროში.</p>	<p>7.2 The payment should be provided in EURO.</p>
<p>7.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს იხდის შემსყიდველი.</p>	<p>7.3. All the taxes established by the Georgian Legislation should be paid by the Purchaser.</p>
<p>7.4. ხელშეკრულების 3.4., 7.1. მუხლების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების ღირებულების კორექტირების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებად ჩაითვლება კორექტირებული ღირებულება.</p>	<p>7.4. Based on Articles 3.4., 7.1. of the Contract or provision of the Georgian legislation, following the correction of the Price of the Contracts corrected Price will be the Price of the Contract.</p>
<p>8 პასუხისმგებლობა</p>	<p>8. Liability</p>
<p>8.1. თუ მიმწოდებელი არ დაიცავს მომსახურების შესრულების ვადას, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ვადაგადაცილებისთვის ზარალის ანაზღაურება, როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული, 8.2-8.6 მუხლებში. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე ვალდებულების დარღვევისათვის. შემსყიდველი პასუხისმგებელია მიმწოდებლის წინაშე ვალდებულების დარღვევისათვის.</p>	<p>8.1. If the Supplier fails to comply with a deadline for performance of the Services, the Purchaser is entitled to claim delay damages as stated below, sfr. Articles 8.2-8.6. The Supplier shall be liable to the Purchaser if a breach of his duty is established against him. The Purchaser shall be liable to the Supplier if a breach of his duty is established against him.</p>
<p>8.2. დანართი 2-ით გათვალისწინებული სამუშაოების არსებითი დარღვევით ან დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, შემსყიდველმა შეიძლება მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით 7.1. მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % თითოეული დღისთვის თითოეული ანგარიშის წარდგენის შემდეგ. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი</p>	<p>8.2. In case of a material breach or late submittal of works in Appendix 2, the Purchaser may deduct as a penalty from payment to the Supplier 0,1% of the Contract Price defined by the Article 7.1. of the present Contract for each day beyond the date of submittal of each report. The Supplier shall not be liable for delayed performance caused by third persons.</p>

TK

<p>ვალდებულების დაგვიანებით შესრულებისთვის, რომელიც გამოწვეულია მესამე პირების გამო.</p>	
<p>8.3. მიმწოდებელზე ნებისმიერი საფუძვლით ვადაგადაცილებისთვის დაკისრებულმა პირგასამტეხლოს ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების (ხელშეკრულების თანხა) 5%-ს. თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს 5%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.</p>	<p>8.3. The amount of penalty for delays imposed on the Supplier on any grounds shall not exceed 5% of the total contract price (Contract Amount). If the amount of penalty reaches 5%, the Purchaser shall be entitled to terminate the Agreement unilaterally.</p>
<p>8.4. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელზე 8.2. მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლო გამოქვითოს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.</p>	<p>8.4. The Purchaser has the right to request fines imposed upon the Supplier in accordance with the Article 8.2. by deducting it from the payment due to the Supplier.</p>
<p>8.5. ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების არსებითი დარღვევით მიყენებული ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან. არცერთი მხარე მეორე მხარის წინაშე არაა პასუხისმგებელი ნებისმიერი გაცდენილი სამუშაოს ზიანისთვის, მოგების ზიანისთვის, ნებისმიერი ხელშეკრულების ზიანისთვის ან ნებისმიერი არაპირდაპირი ან გამომდინარე ზიანისთვის ან ზარალისთვის, რომელიც შეიძლება განიცადოს მეორე მხარემ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მიმწოდებლის სრული პასუხისმგებლობა ნებისმიერი მოთხოვნისთვის, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს.</p>	<p>8.5. Payment of penalty for delay does not release the Supplier from the obligation to compensate the Purchaser for loss and/or damage due to material breach of Contract. Neither Party shall be liable to the other Party for loss of use of any Works, loss of profit, loss of any contract or for any indirect or consequential loss or damage which may be suffered by the other Party in connection with the Contract. The total liability of the Supplier for any claims arising from or in connection with the Agreement shall never exceed 50% of the Contract Amount.</p>
<p>8.6. შემსყიდველის მიერ გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს ფინანსური ანაზღაურება გადაუხდელ თანხაზე ვადაგადაცილებული პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად, წლიური 3%-ის ოდენობით.</p>	<p>8.6. In case of delay of payment from the Purchaser, the Supplier shall be entitled to receive financing charges on the amount unpaid during the period of delay, calculated at the annual rate of three percent for each day of overdue payment.</p>
<p>8.7 მომსახურების გაწევისათვის</p>	<p>8.7 The Supplier is allowed to request Advance</p>

TK 

<p>მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წინასწარი გადახდა იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს წინასწარი გადახდის ღირებულების უპირობო და გამოუთხოვად საბანკო გარანტიას. გარანტიის ღირებულება ტოლი უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი წინასწარი გადახდისა და გაცემული უნდა იყოს ესპანეთის საერთაშორისო ბანკის მიერ ლიცენზირებული ქართული ბანკის შუამავლობით. წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სერვისის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულების ვადას.</p>	<p>Payment in exchange of submitting irrevocable and unconditional the Advance Payment Bank Guarantee. The Amount of Advance Payment Bank Guarantee shall be identical to the amount requested and shall be issued by the International Bank from Spain, through licensed Goergian intermediary Bank. The validity of the Advance Payment Bank Guarantee shall be 30 days more than the date of scheduled performance of that particular service in accordance with present Contract.</p>
<p>8.8 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით. შესრულების გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადას. გარანტია გაცემული უნდა იყოს ესპანეთის საერთაშორისო ბანკის მიერ ლიცენზირებული ქართული ბანკის შუამავლობით.</p>	<p>For the purpose of securing the fulfillment of the obligations under present contract, the Supplier shall provide the unconditional and irrevocable Performance Bank Guarantee in the amount of 5% of total contract amount. The validity of Performance Bank Guarantee shall exceed with not less than 30 days to the scheduled date of the performance of the services. Performance Banks Guarantee shall be issued by the International Bank from Span through the licensed Georgian intermediary Bank.</p>
<p>9 უფლებების გადაცემა და ქვეკონტრაქტორები</p>	<p>9. Transfer of Rights and Subcontractors</p>
<p>9.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.</p>	<p>9.1 The Supplier has no right to fully or partially transfer the rights and obligations defined by the present Contract to a third party without the prior written consent of the Purchaser.</p>
<p>9.2. ხელშეკრულების 9.1 მუხლი არ გულისხმობს, რომ მიმწოდებელს არ აქვს უფლება ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს ქვეკონტრაქტორების მეშვეობით.</p>	<p>9.2. Article 9.1 of the Contract does not imply that the Supplie has no right to fulfill the obligations through subcontractors. At the same time, imposing obligations on fulfillment</p>

TK 

<p>ამასთან, მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორზე გარკვეული სამუშაოების შესრულების ვალდებულების გადაკისრებამ არ შეიძლება გამოიწვიოს მიმწოდებლების არსებითად ჩანაცვლება.</p>	<p>of certain works over the subcontractor shall not result in essential substitution of the Suppliers.</p>
<p>9.3. ქვეკონტრაქტის გაფორმების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტის გაფორმებამდე მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს შემსყიდველს და ქვეკონტრაქტის გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ერთი ასლი წარუდგინოს შემსყიდველს.</p>	<p>9.3. When the necessity of signing of the subcontract arises, prior to the signing of such a contract the Supplier is obliged to notify the Purchaser and after the signing of the subcontract present a copy of the Contract to the Purchaser.</p>
<p>9.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არც მიმწოდებელს და არც ქვეკონტრაქტორს არ ათავისუფლებს მათ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველის წინაშე და ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანისათვის/ზარალისათვის. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული დებულება ასახოს ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ კონტრაქტებშიც.</p>	<p>9.4. None of the subcontracts completed within the scope of the present Contract releases the Supplier and the Subcontractor from the obligations undertaken for the undue fulfillment of the responsibilities in front of the Purchaser and they are liable for the damage/loss suffered by the Purchaser. The Supplier is obliged to reflect the given statute in the contracts completed with the subcontractors.</p>
<p>10 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები</p>	<p>10. Intellectual Property Rights</p>
<p>10.1. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.</p>	<p>10.1. The Supplier is responsible for the obligations on the protection of the intellectual property rights and settlements of disputes that arise during the usage of such rights.</p>
<p>10.2. ხელშეკრულების 10.1 მუხლი მხარეებისათვის ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხუთი წლის განმავლობაში.</p>	<p>10.2. Article 10.1 remains effective for five years after the termination of the present Contract.</p>
<p>11 საკუთრების უფლების გადაცემა</p>	<p>11. Transfer of the Ownership Rights</p>
<p>11.1. საკუთრების უფლება მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე (მათ შორის, სამუშაოების შედეგად შექმნილ</p>	<p>11.1. Ownership rights of the works carried out by the Supplier (including products created as a result of such works – documents, drawings,</p>

TK

<p>პროდუქტზე დოკუმენტაცია, ნახაზები, ესკიზები, დასკვნები, ექსპერტიზის მასალები და სხვა), შემსყიდველს წარმოეჩნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.</p>	<p>sketches, conclusions, expertise materials etc.) are given to the Purchaser upon signing of the acceptance certificate according to the rules defined by the present Agreement.</p>
<p align="center">12 ხელშეკრულების შეწყვეტა</p>	<p align="center">12. Termination of the Contract</p>
<p>12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება მოქმედების ვადის გასვლის შედეგად, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით - ვადამდეც. ვადა დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე, როგორც ეს მოცემულია ხელშეკრულების მე-5 მუხლში.</p>	<p>12.1. The present Contract will be terminated upon the expiration of the term and prior to the term in the cases and by the rules defined by the current legislation and/or the Contract. The term ends at the signing of acceptance as defined in Article 5.</p>
<p>12.2. წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით:</p>	<p>12.2. In accordance with the rules defined by the Georgian legislation, the present Contract can be terminated prior to the expiration of the term as initiated by the Purchaser:</p>
<p>12.2.1. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ მისი მდგომარეობის, კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი მონაცემები და მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;</p>	<p>12.2.1. If the Purchaser discovers that the data and related documents submitted by the Supplier confirming condition, qualification and experience are untrue;</p>
<p>12.2.2. საქართველოში ან სხვა ქვეყანაში მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის, გაკოტრების საქმის ან სხვა მსგავსი წარმოების გახსნის შემთხვევაში;</p>	<p>12.2.2. In case of filing an insolvency, bankruptcy or similar proceedings in Georgia or other countries against the Supplier;</p>
<p>12.2.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან მოვლენების ზემოქმედების შედეგად მიმწოდებელი ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს 90 დღის განმავლობაში;</p>	<p>12.2.3. If due to force-majeure conditions and/or events the Supplier is unable to fulfill undertaken responsibilities for 90 days;</p>
<p>12.2.4. ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>12.2.4. In other cases defined by the present Contract and the Georgian legislation.</p>
<p>12.3. წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ვადამდე შეიძლება</p>	<p>12.3. In accordance with the rules defined by the Georgian legislation the present Contract can be terminated prior to the expiration of the</p>

TR

შეწყდეს მიმწოდებლის ინიციატივით:	term as initiated by the Supplier:
12.3.1. თუ მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად, შემსყიდველი 45 დღის განმავლობაში ასეთი გაფრთხილების მიღების მომენტიდან არ გადაუხდის მიმწოდებელს იმ თანხას, რომლის გადახდის ვალდებულება მას დაუდგა ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე;	12.3.1. If, in spite the notification from the Supplier, the Purchaser fails to pay the amount due in accordance with the conditions of the Present Contract within 45 days of the receipt of such notification;
12.3.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან მოვლენების ზემოქმედების შედეგად შემსყიდველი ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას 90 დღის განმავლობაში;	12.3.2. If due to force-majeure conditions and/or events the Purchaser is unable to fulfill undertaken responsibilities for 90 days;
12.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.	12.3.3. In other cases defined by the Georgian legislation.
12.4. მხარეებს შეუძლიათ ვადამდე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.	12.4. The parties can terminate the present Contract prior to the expiration of the term based on the mutual consent.
13 კონფიდენციალობა	13. Confidentiality
13.1. ამ ხელშეკრულების 13.2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაახმაურონ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და ხელშეკრულების შესრულების პროცესში მეორე მხარის მიერ გადაცემული ინფორმაცია ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე და უზრუნველყონ ამ მონაცემების კონფიდენციალობა.	13.1. Except in cases stipulated by Article 13.2 of this Contract, the Parties undertake not to disclose any information related to this Contract and transferred by the other party during performance of this Contract without consent of the latter and to keep these data confidential.
13.2. მხარეებს უფლება აქვთ ხელმისაწვდომი გახადონ ამ ხელშეკრულების 13.1 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია:	13.2. The parties have a right to make the information stipulated by Article 13.1 of this Contract available:
13.2.1. მათი პარტნიორების /აქციონერებისათვის, ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების თავის თავზე აღების შემდეგ;	13.2.1. for their partners/shareholders, after they undertake to keep relevant information confidential;
13.2.2. თანამშრომლებისათვის და ქვეკონტრაქტორებისათვის, ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების	13.2.2. for employees and subcontractors, after they undertake to keep relevant information confidential;

TK

თავის თავზე აღების შემდეგ;	
13.2.3. საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ბირჟის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან/და სასამართლოს ბრძანების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.	13.2.3. In cases stipulated by the Georgian legislation, International Stock Exchange Rules and/or on the basis of the court order or request of other authorized body.
13.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ინარჩუნებს ძალას მხარეებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც 5 წლის განმავლობაში.	13.3. The commitment stipulated by this Article shall continue to be binding upon the parties during 5 years after termination of the Contract.
14 შეტყობინებები	14. Communications
14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გაგზავნილი თითოეული გზავნილი და/ან შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით და გადაეცეს პირადად ან გაიგზავნოს კურიერული ფოსტით, ფაქსის ნომრებზე და/ან მეილზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა შეტყობინება, ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.	14.1. Any communication and/or notification sent under the present Contract by one party of the Contract to the other party shall be made in writing and delivered personally or sent by courier mail, to fax numbers and/or in e-mail. All communication concerning the Contract, spoken or written shall be in English.
14.2. გზავნილი და/ან შეტყობინება ძალაში შესულად ჩაითვლება მხარის მიერ მითითებულ მისამართზე და/ან ფაქსზე ან მეილზე მისი მიღების შემდეგ.	14.2. The communication and/or notification shall be deemed in force after its receipt to the address and/or fax number or e-mail specified by the party.
14.3. გზავნილი და/ან შეტყობინება მხარეებს უნდა გადაეცეს ხელშეკრულების მე-18 მუხლში მითითებულ მისამართებზე.	14.3. The communication and/or notification shall be delivered to the Parties to the addresses specified in chapter 18 of the Contract.
15 ფორს-მაჟორი	15. Force Majeure
15.1. ხელშეკრულების მხარე არ აგებს პასუხს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ:	15.1. The Party to the contract is not liable for the full or partial non-fulfillment of the obligations undertaken under the present contract if:
ა) აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებების ან მოვლენების ზემოქმედების შედეგად, რომლის დადგომა და მოქმედება	a) such non-fulfillment is caused by the conditions or events the occurrence and effect of which are beyond its control; and

TK

არ ექვემდებარება მის კონტროლს; და	
ბ) მათი გათვალისწინება შეუძლებელია ცოდნისა და ტექნიკური განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე; და	b) they are impossible to be foreseen given the current level of knowledge and technical development; and
გ) კეთილსინდისიერი მცდელობის მიუხედავად მან ვერ შეძლო ამ მოვლენებისა და გარემოებების ზემოქმედების თავიდან არიდება ან ასეთი ზემოქმედებისაგან თავის დაღწევა, ხოლო ვალდებულების შესრულების ალტერნატიულმა გზებმა და საშუალებებმა შედეგი ვერ გამოიღეს.	c) in spite of good faith efforts the Party was not able to avoid such events and conditions or avoid their impacts and alternative ways of fulfilling the obligation did not bring any results.
15.2. ამ ხელშეკრულების 15.1 მუხლის პირობების დაცვით, ფორს-მაჟორულ გარემოებებად მიიჩნევა სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა), ომი (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი) ან უცხო ძალის მიერ განხორციელებული ომის ტოლფასი მოქმედება (ბლოკადა, ინტერვენცია და სხვა), სამოქალაქო ომი, მასობრივი არეულობა, ამბოხება, გაფიცვა, ლოკაუტი და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომლებიც მიიჩნევა ფორს-მაჟორულ მოვლენებად და/ან გარემოებებად.	15.2. In compliance with the Article 15.1. of the present Contract, the following shall be deemed to be Force-Majeure circumstances: natural disasters (earthquake, flood and others), war (declared or undeclared) or action by foreign force equivalent to war (blockade, intervention and others), civil war, mass disruptions, revolt, strike, lockout and other events and circumstances considered to be Force-Majeure events and circumstances.
15.3. მხარემ, რომელიც განიცდის ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედებას, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი ფორს-მაჟორული გარემოების, ამ გარემოებების აღმოსაფხვრელად და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ და ფორს-მაჟორული გარემოებების სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.	15.3. The party affected by Force-Majeure circumstance shall immediately in writing notify the other Party of the occurrence of Force-Majeure circumstance, measures undertaken to eliminate such circumstances and fulfill the obligations undertaken by the present Contract and the potential term for the elimination of the Force-Majeure circumstances. Otherwise this party shall not be released from liability incurred by full or partial non-fulfillment of the conditions of the present Contract.
15.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების	15.4. The Parties shall resume fulfillment of their obligations immediately upon the elimination of the Force- Majeure

72 

აღმოფხვრისთანავე.	circumstances.
15.5. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანოს მიერ.	15.5. Existence of the Force-Majeure circumstances shall be confirmed by the Georgian Chamber of Commerce and Industry or other entity stipulated by legislation.
16 ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა	16. Governing Law and Dispute Resolution
16.1. წინამდებარე ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალია საქართველოს სამართალი. მხარეები თანხმდებიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ არ იქნება გამოყენებული.	16.1. The present Contract shall be governed by the Georgian Law. It is expressly agreed that the application of United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) shall be excluded.
16.2. ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.	16.2. Any dispute arising between the Parties to the Contract shall be settled amicably.
16.3. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო.	16.3. In case the agreement is not reached within 30 days upon occurrence of the dispute, the dispute shall be resolved by the Georgian court in a manner established by Law.
17 დასკვნითი დებულებანი	17. Final Provisions
17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი წლის ვადით.	17.1. The present Contract shall become effective on the date of its signature and shall be valid for the duration of one year.
17.2. ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ანგარიშსწორებასა ან/და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოქმედებენ მხარეთათვის განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.	17.2. In case of termination of this Contract, the provisions of the Contract governing the issues related to payment and/or liability, shall be valid until full performance of the obligations defined for the Parties.
17.3. სამართლებრივი დავის ინიცირების შემთხვევაში, თითოეული მხარე ვალდებულია გადაიხადოს საკუთარი სასამართლო ხარჯები თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.	17.3. In case of legal proceedings each party shall bear its own costs thereof unless otherwise decided by Georgian court.
17.4. წინამდებარე ხელშეკრულება მის ყველა დანართთან ერთად ასახავს მხარეების ერთ	17.4. The present Contract, along with all its appendixes, constitutes an integral

TK 

მთლიან შეთანხმებას ხელშეკრულების საგანზე და ცვლის ყველა მანამდე, როგორც წერილობით ასევე ზეპირ მოლაპარაკებებს ან შეთანხმებებს მხარეებს შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.	agreement between the Parties on the subject of the Contract and supercedes all prior negotiations and agreements, both written and oral, between the Parties in respect to the subject matter.
17.5. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დანართები, რომლებიც ჩამოთვლილია 17.5.1. და 17.5.2. მუხლებში და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილებს.	17.5. The present Contract is supplemented with the appendixes listed below in 17.5.1 and 17.5.2, which represent its integral part.
17.5.1. დანართი 1 - ტექნიკური დავალება	17.5 Appendix 1 – Terms of Reference
17.5.2. დანართი 2 - ტექნიკური-ეკონომიკური შეთავაზება	17.5.2. Appendix 2 - Technical-Economic Offer
17.5.3 დანართი 3 - ფასების ცხრილი	17.5.3 Appendix 3 – Price Schedule.
17.6. წინამდებარე ხელშეკრულების მუხლების დასათაურება და ნუმერაცია შესრულებულია მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ხელშეკრულების ან მისი რომელიმე ნაწილის აზრობრივი და/ან შინაარსობრივი განმარტებისას.	17.6. Headings and numeration of Articles in the present Contract are performed for convenience and shall be ignored during conceptual and/or contextual interpretation of the Contract or any part hereof.
17.7. ამ ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება მხარეების სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.	17.7. This Contract shall be applied to successors and assignees of the parties.
17.8. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.	17.8. Any amendments to this Contract may be made only on th basis of written agreement between the parties. Terms and conditions of the Contract shall not be amended, if such amendments lead to increase of the total cost of the Contract or worsening of conditions for the Purchaser, except cases established by Article 398 of the Civil Code of Georgia. In case of occurrence of conditions stipulated by Article 398 of the Civil Code of Georgia, the total cost of the Contract shall not be increased by more than 10%.
17.9. ხელშეკრულების რომელიმე პირობის აღიარება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ არ გამოიწვევს ხელშეკრულების სხვა პირობების	17.9. If any provision of the Contract is declared invalid and void, it shall not affect the remaining provisions, which shall continue to be binding upon the Parties. At the same time,

T/R

<p>ბათილობას, რომლებიც მხარეთათვის შეინარჩუნებენ იურიდიულ ძალას. ამასთან, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა განმარტებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათი სრული მოქმედება ბათილად აღიარებული ნაწილის ხელშეკრულებიდან ამოღების პირობებშიც კი და რომ შენარჩუნებული იქნას ამ ხელშეკრულების ყველა სხვა პირობის მაქსიმალურად შესაძლებელი ქმედითობა.</p>	<p>all other provisions of the Contract shall be interpreted so that they are fully valid even in case of removal of the part declared invalid from the Contract and maintaining the maximum possible validity of all other provisions of the Contract.</p>
<p>17.10. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის შეუსაბამობის და/ან კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ტექსტს.</p>	<p>17.10. The Contract is made in two equally binding identical copies in Georgian and English languages. Each copy shall be given to each party. In case of discrepancy and/or conflict between the Georgian and English texts of the Contract, the English text shall prevail.</p>
<p>17.11. ურთიერთობები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>17.11. Any relations not governed by the present Contract, shall be settled in accordance with the applicable law.</p>
<p>18 შეტყობინებები</p>	<p>18. Notices</p>
<p>ყველა შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ინგლისურ ენაზე შემდეგ წარმომადგენლებთან:</p>	<p>All notices shall be sent in English to the following representatives:</p>
<p>შემსყიდველის წარმომადგენელი: თორნიკე ყაზარაშვილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ელ-ფოსტა: t.kazarashvili@gedf.com.ge ტელ: +995322181131</p>	<p>Purchaser Representative: Tornike Kazarashvili Chairman of the Board of Directors e-mail: t.kazarashvili@gedf.com.ge phone: +995322181131</p>
<p>მიმწოდებლის წარმომადგენელი: რაფაელ ზუბიაურ რუისი მმართველი დირექტორი ელ-ფოსტა: rzubiaur@barlovento-recursos.com ტელ: +34941287347</p>	<p>Supplier Representative: Rafael Zubiaur Ruiz Managing Director Email: rzubiaur@barlovento-recursos.com phone: +34941287347</p>
<p>19 მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები და უფლებამოსილი პირების ხელმოწერები</p>	<p>19. Legal and bank details of the parties and signatures of authorized persons</p>

TK 

შემსყიდველი:	the Purchaser:
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური ს/კ 404957338	Qartli Wind Farm LLC ID 404957338
მისამართი: ბარათაშვილის ქ. 8, მე-4 სართული, 0105, თბილისი, საქართველო	Address: 8.Baratashvili str, 4 th floor, 0105, Tbilisi, Georgia
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიში ნომერი: GE11BR0000010061775786	Bank Details: JSC :Bank Republic Bank code: REPLGE22 Bank Account: GE11BR0000010061775786
დირექტორთ საბჭოს თავმჯდომარე	Chairman of the Board of Directors
თორნიკე ყაზარაშვილი	Tornike Kazarashvili
	
მიმწოდებელი:	Supplier
ბარლოვენტო რეკურსოს ნატურალეს S.L. ორგანიზაციის ნომერი: ESB26264366	Barlovento Recursos Naturales SL Organization Number: ESB26264366
მისამართი: კალე პინტორ სოროლა ქ. N8-1 A, 26007 ლოგრონო (ლა რიოხა) ესპანეთი	Address: Calle Pintor Sorolla, 8-1 ^o A 26007 Logroño (La Rioja) Spain
საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის მფლობელი: ბარლოვენტო რეკურსოს ნატურალეს S.L. ვალუტა: ევრო ბანკი: ბანკინტერ IBAN: ES53 0128 0430 8601 0006 9126 SWIFT: BKBKESMMXXX	Bank Details: Account owner: Barlovento Recursos Naturales S.L. Currency:EUR (€) Bank: Bankinter IBAN: ES53 0128 0430 8601 0006 9126 SWIFT: BKBKESMMXXX
მმართველი დირექტორი	Managing Director
რაფაელ ზუბიაურ რუისი	Rafael Zubiaur Ruiz
	

SCHEDULE ATERMS OF REFERENCE**Georgia: Gori Wind Farm – Independent Tester****1 Background**

The European Bank for Reconstruction and Development (**EBRD or the Bank**) and other lenders (together, the **Lenders**) are financing Qartli Windfarm LLC (“Qartli”), a special purpose vehicle (SPV) established in Georgia for the sole purpose of development, construction and operation of a 20.7 MW onshore greenfield wind power plant, located in the Gori municipality of the Shida Kartli region in central Georgia (“Gori WPP”, or the “Project”).

The Project involves the installation of 6 x Vestas V117 3.45 MW wind turbine generators (WTGs).

Start of operation is expected to be achieved at the end of 2016.

Gori WF has been established as a limited liability company in Georgia and serves as an SPV for the sole purpose of constructing and operating the Project. It is fully owned by the Georgian Energy Development Fund (“GEDF”, or the “Sponsor”), a state owned company established as a joint stock company in December 2010 by the Government of Georgia (the “GoG”) to facilitate investment in energy projects and the development of the country’s renewable energy sector. GEDF’s main activities are identifying potential renewable projects in Georgia and developing them with private investors with an exit option for GEDF at various stages of project development. After completing Shilda HPP (5 MW) in eastern Georgia, GEDF grew its portfolio and is currently developing hydro, wind and gas-fired thermal power projects.

The Lenders are interested in assisting the Borrower in the preselection of the Independent Tester (the **IT**), which will be responsible for the performance of site calibration campaign and power curve measurements on two (2) WTGs in accordance with the scope of work described below and, unless otherwise specified in the section 3, covering the Project.

The Consultant must confirm that it has no conflict of interest with the Company, its affiliates or other entities involved in the project.

2 Objective

The objective of this consultancy assignment is to provide the Lenders and the Borrower with results of power curve measurements carried out on 2 WTG selected by the IT. The test shall be conducted in accordance with IEC 61400-12-1, Edition 1 2005 standard and TSA provisions (Annex II).

The **IT** shall, inter-alia, provide:

- (a) select the adequate WTGs (2) for power curve measurements;

- (b) supply and installation of temporary met mast or met masts depending on the result of WTG selection for power curve measurements, needed for the site calibration campaign, to include booms and all accessories;
- (c) supply and installation of reference met mast or met masts depending on the result of WTG selection for power curve measurements, needed for the power curve campaign, to include booms and all accessories;
- (d) Sensor installation (rental of equipment);
- (e) Site calibration campaign;
- (f) Power curve campaign;
- (g) Dismantling and recalibration of equipment (when needed); and
- (h) Report with a clear outcome whether the measured power curve complies with the warranted one.

The IT shall carry out both site calibration and power curve measurement in accordance with IEC standard and the conditions set forth in the TSA.

Due to the fact that the Wind Farm is under construction, the site calibration will be performed after construction while the nominated WTGs are stopped. The met mast should be placed roughly 20m next to the nominated WTGs. The exact location shall be decided by the Independent Tester.

The Independent Tester shall estimate the extra uncertainty in the measurements due to the above proposed deviation, which is then to be agreed between the parties.



3 Scope of Work and Tasks

